**საჯარო სამართლის იურიდიული პირი**
**ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 01-08/38**

10 სექტემბერი, 2014 წელი ქ.ბათუმი

**ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 5 სექტემბრის N2 და N3 გადაწყვეტილებების აღსრულებისათვის გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე–13 მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდული პირის – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისათვის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) შრომის ანაზღაურების გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 5 სექტემბრის N2 გადაწყვეტილებისა და ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო პერსონალის (მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი,მეცნიერ-თანამშრომელი) შრომის ანაზღაურების გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 5 სექტემბრის N3 გადაწყვეტილების საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

1. ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 5 სექტემბრის N2 და N3 გადაწყვეტილებების აღსრულების მიზნით ეთხოვოს ბსუ-ს აკადემიურ პერსონალსა და სამეცნიერო პერსონალს არაუგვიანეს 2014 წლის 12 სექტემბრისა წარმოადგინონ ინფორმაცია 2014 წლის 15 სექტემბრიდან კატეგორიების მიხედვით შრომის ანაზღაურების გაცემის უზრუნველყოფის მიზნით.
2. აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის კატეგორიების ცვლილება განხორციელდეს სასწავლო წლის დაწყებამდე არაუგვიანეს ორი კვირისა.
3. ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს შესაბამისი ფაკულტეტების დეკანებსა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების დირექტორებს.
4. ბრძანება აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;
5. ბრძანება გამოქვეყნდეს ფაკულტეტებისა და ინსტიტუტების საინფორმაციო დაფებზე.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**რექტორი, პროფესორი** **ა. ბაკურიძე**